ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N20

2023 წლის 29 მარტი
ქ. ამბროლაური

ა(ა)იპ „ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობისა მუზეუმი (პროგრამული კოდი:05 02 01 04)

მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია868 ექსპონატი.602-სახვითი ხელოვნების მუზეუმში, 266 აბარის მხაარეთმცოდნეობის მუზეუმიშ. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. მუზეუმში წლის განმავლობაში ეწყობა სხვადასვა ღონისძიებები და გამოფენები.

2022 წელს შესრულებული სამუშაოები:

1. **იანვარი**
2. სახვითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზების რეექსპოზიცია.
3. მუდმივმოქმედი ექსპოზიცია.
4. **თებერვალი**
   ფოტო-გამოფენა"ტრადიციული რაჭული სამოსი".
5. **მარტი**
   საგაზაფხულო გამოფენა.
6. **აპრილი**
   მუზეუმში დაცული პორტრეტების გამოფენა.
7. **მაისი**
   18 მაისს გაიმართა აქცია გამოფენა"ღამე მუზეუმში", კვირეულის ფარგლებში
   განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები ორივე მუზეუმში:
   რესტავრირებული ნამუშევრების გამოფენა.
   ქანდაკების გამოფენა.
   ეთნოგრაფიული ნივთების გამოფენა.
   გურამ გორდეზიანის ახალი კრებულის პრეზენტაცია და შემოქმედებითი საღამო.
8. **ივნისი**
   ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამბროლაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, გამოფენილი იქნა მათი ნამუშევრები.
   განახლდა ფერწერის დარბაზი.
   ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილები/პედაგოგი მზია თავართქილაძე/
9. **ივლისი**
   თანამედროვე ქართული ფერწერა.
10. **აგვისტო**
    თეიმურაზ კობახიძის ნამუშევრების გამოფენა.
11. **სექტემბერი- ოქტომბერი**
    ილუსტრაციების გამოფენა,
    მუდმივმოქმედი ექსპოზიცია.
12. **დეკემბერი**

საშობაო გამოფენა

მომზადდა პროექტი, 2023 წლის ივლისში დაგეგმილ გამოფენასთან(ფოტო-ინსტალაცია) დაკავშირებით, და დასაფინანსებლად პროექტი წარდგენილია კულტურის სამინისტროში.(პროექტის ავტორი ნიკა ჯაფარიძე, ბესო კობახიძე).

2022 წლის განმავლობაში მუზეუმი აქტიურად თანამშრომლობდა საჯარო სკოლებთან (ამბროლაურის I და II საჯარო სკოლა, ჭრებალო, წესი,ნიკორწმინდის საჯარო სკოლები)

13. აბარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშ- მთელი წლის განმავლობაში-- მუდმივმოქმედი ექსპოზიცია.

2022 წელს მუზეუმის საფონდო კოკლექციას შეემატა მხატვარ გიორგი ვართაგავას 3 ნამუშევარი.(დასაჩარჩოებელია).

ა(ა)იპმუზეუმისხელშეწყობის საბიუჯეტო სახსრების 12 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 60920 ლარი, რაც საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული12თვის გეგმის (72500 ლარის) 84%-ია, ხოლო საკუთარი შემოსავალი 12 თვეში დაგეგმილი იყო 1000 ლარი; ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 201 ლარი რაც გეგმის 20 %-ია.

მიმდინარე წლის იანვარი - დეკემბრის თვეში ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა--187

დანართი №1

საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის შესრულების 12 თვის ანგარიში

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) (5/4)	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%
1	2	3	4	5	6	7
05 02 01 04	ა(ა)იპ მუზეუმის ხელშეწყობა	72500	72500	60920	84	_____

დანართი №2

ა(ა)იპ მუზეუმის ხელშეწყობა

2022 წლის ბიუჯეტის შესრულება

ათას ლარებში

იურიდიული პირის დასაახელება	სულ 12 თვის ფაქტი*	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი
შემოსულობები	60920		60920
შემოსავლები			
სხვა შემოსავლები			
..... (მიეთითოს შემოსავლის სახეობობა)			
გრანტები	60920		60920
არაფინანსური აქტივების კლება			
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე)			
ვალდებულების ზრდა			
საშინაო			
საგარეო			
გადასახდელები	60920		60920
ხარჯები			
შრომის ანაზღაურება	55120		55120
საქონელი და მომსახურება	5800		5800
პროცენტი			
სუბსიდიები	60920		60920
გრანტები			
სოციალური უზრუნველყოფა			
სხვა ხარჯები			
არაფინანსური აქტივების ზრდა			
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)			
ვალდებულების კლება			
საშინაო			
საგარეო			
ნაშთის ცვლილება	251	251	